

მოსწავლეთა დემოკრატიული კულტურის კვლევა თბილისის ერთი
სკოლის მაგალითზე

სულხან ჩარგეიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი სოფო გორგოძე

თანახელმძღვანელი: ნათია ნაცვლიშვილი - ევროპის საბჭოს დემოკრატიული
კულტურის კომპეტენციების განათლების პოლიტიკის მრჩეველთა ქსელის წევრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის - *მოსწავლეთა დემოკრატიული კულტურის კვლევა თბილისის ერთი სკოლის მაგალითზე* - ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

სულხან ჩარგეიშვილი

26.06.2019

მადლობა

ნაშრომზე მუშაობის პროცესში არა ერთმა ადამიანმა გამიწია დახმარება, რომელთაც მინდა მადლობა გადავუხადო.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ სოფო გორგოძეს, რომელიც კვლევის ყველა ეტაპზე აქტიურად იყო ჩართული და მამლევდა შესაბამის უკუკავშირს.

მადლობას ვუხდის ნაშრომის თანახელმძღვანელს, ევროპის საბჭოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განათლების პოლიტიკის მრჩეველთა ქსელის წევრს, ქალბატონ ნათია ნაცვლიშვილს, კვლევის იდეის ფორმირების პროცესსა და შეფასების ინსტრუმენტის განვითარებაში გაწეული დახმარებისთვის.

მადლობას ვუხდის სტატისტიკოს ქალბატონ ტატა გულუას რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის პროცესში მხარდაჭერისათვის.

მადლობა მინდა გადავუხადო აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ქ.თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N42 საჯარო სკოლის მთელ კოლექტივს, განსაკუთრებით კვლევის ჯგუფის წევრებს: ქალბატონ მაკა ბიბილეიშვილის, ქალბატონ ეკა ონაშვილს, ქალბატონ ანა სალაყაიას, ქალბატონ ნანა ირემაშვილს მათი თავდაუზოგავი შრომისა და კვლევის განხორციელების თითოეულ ეტაპში აქტიური მონაწილეობისთვის. ასევე, მადლობას ვუხდის სკოლის თითოეულ მოსწავლეს, რომელმაც კვლევაში მონაწილეობა მიიღო.

და ბოლოს, მადლობას ვუხდის ჩემს მეუღლეს ნატო ანთიას ნაშრომზე მუშაობის პროცესში უწყვეტი მხარდაჭერისა და ხელშეწყობისათვის.

აბსტრაქტი

ნაშრომი ეძღვნება მოსწავლეთა დემოკრატიული კულტურის განვითარების თემას. კერძოდ, ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს ევროპის საბჭოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს სკოლაში დანერგვის და განხორციელების გზებზე. საკითხის გამოსაკვლევად განროციელდა პრაქტიკის კვლევა თბილისის ერთ სკოლაში, რომლის ფარგლებშიც, სკოლის პედაგოგებთან თანამშრომლობით, გამოვლინდა მოსწავლეთა სუსტად განვითარებული დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები, განხორციელდა ინტერვენციები და შეფასდა კვლევის აქტივობების გავლენა მოსწავლეთა დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბაზე. კვლევის პროცესი დაგეგმვაში გათვალისწინებული იყო ის ძირითად სამეცნიერო თეორიები, რომელიც ხსნის სკოლაში დემოკრატიული კულტურის განვითარების მნიშვნელობას. კვლევამ ცხადყო, რომ მოსწავლეებს სურვილი აქვთ იყვნენ აქტიური მოქალაქეები და ამყად გაითავისონ დემოკრატიული კულტურა. სკოლა მოსწავლეთა ამ სურვილის შესრულებას შეძლებს თუ დემოკრატიული კულტურის განვითარება არა მხოლოდ ერთი საგნის, ერთი პედაგოგის ან ერთი მშობლის, არამედ მთლიანი სკოლის მიზანი გახდება.

საძიებო სიტყვები: მოსწავლეები, დემოკრატიული კულტურა, კომპეტენციები, სასკოლო გარემო, თანამედროვე საზოგადოება

Abstract

The aim of the current study is to investigate the development of school students' democratic culture. The focus is on application and implementation of the Council of Europe reference framework of competences for democratic culture in a school setting. The research draws on participatory methodology to identify the least developed school students' competences for democratic culture in one of the schools of Tbilisi, plan relevant interventions and assess its impact. Extensive review of relevant theories in relation to democratic culture was conducted and used to define the research questions. The research confirms that school students are motivated to become active citizens and apply democratic culture in practice. Schools will be capable to provide relevant response to schools students aspiration if development of democratic culture becomes an integral part of school system through a whole-school approach.

Key words: school students, democratic culture, competences, school environment.